| | | |
|---|---|---|
| დღის ნომერში | გამოკეტილი ქაღალდები და... საქმეები | შემოტევა ცხრილის „ფსკერიდან" |
| | 4+2+4 რუსთაველად და სტავროპოლურად | |

გ. ესტეევსი — 100 მ — 10,0!

თავდაყირა 30 მეტრიდან... მიწისკენ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 21-ე წელი.

№ 163 (2526) ◉ ოთხშაბათი, 19 აგვისტო, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

ჩვენს რესპუბლიკაში გრძელდება ფულადი და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარიის ბილეთების რეალიზაცია




ლატარიის ბილეთების შეძენა შეიძლება სპორტკავშირებში, „საქწიგნის" მაღაზიებსა და „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში.

## ბერძნებმა განაცხადი გამოგზავნეს

TOKYO 1964

ტოკიო, 18 აგვისტო. თამაშებში მონაწილეობაზე ოფიციალური განაცხადების უკანასკნელი ვადის ამოწურვის რამდენიმე წუთით ადრე XVIII ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტში შემოვიდა განაცხადი, რომელსაც აგრერიგად ელოდნენ აქ. თამაშების ორგანიზატორებს ძალზე აშფოთებდათ ბერძენი სპორტსმენების დუმილი. როგორც ოლიმპიადათა სამშობლოს წარმომადგენლები, ისინი ხომ ტრადიციით ყველა თამაშზე ხსნიან სპორტსმენთა საალლუმო სვლას. და აი, საბერძნეთიდან მოვიდა განაცხადი! იგი რიგით 93-ეა.

რომის ოლიმპიადა, რომელიც ყველა ადრინდელზე „ხალხმრავალი" იყო, მხოლოდ 85 მონაწილე ქვეყანას ითვლიდა.

ამრიგად, 93 სახელმწიფო—ეს თავისებური რეკორდია! მაგრამ მოსალოდნელია ამ რიცხვის გაზრდა. ტოკიოს ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი კიდევ რამდენიმე ქვეყანამ გამოთქვა, მაგრამ მათგან ჯერჯერობით ოფიციალური განაცხადები არ შემოსულა.

—თუ ჩვენ ამ განაცხადებს მივიღებთ, მზად ვართ თამაშებზე დავუშვათ დაგვიანებული ქვეყნები. ეს საკითხი შეთანხმებული გვაქვს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან,—თქვა საორგანიზაციო კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ს. თოსანომ.

### ჭადრაკის დაფებთან — ჭაბუკები

რიგა, 18 აგვისტო (ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობა ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის. ტურნირში, რომელიც შვეიცარული სისტემით ჩატარდა, მონაწილეობდა 24 სპორტსმენი.

I—II ადგილები პირად ასპარეზობაში გაიყვეს ოსტატმა ა. კაპენგუტმა (ბელორუსია) და ოსტატობის კანდიდატმა დ. უსაკოვსკიმ (მოსკოვი). 10 შესაძლებლიდან თვითეულმა მოაგროვა 7,5 ქულა. კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით პირველობა მიენიჭა კაპენგუტს.

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ჭაბუკ მოჭადრაკეთა შორის აღმოჩნდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, ოსტატობის კანდიდატი მ. ლევინი, რომელმაც 6,5 ქულით III — VII ადგილები გაიყო ოსტატ ვ. ტუკმაკოვთან (უკრაინა), ოსტატობის კანდიდატებთან ვ. ცეშკოვსკისთან და ნ. მიშუჩკოვთან (ორივენი — რსფსრ-დან) და პირველთანრიგოსან ვ. აგლამაზოვთან (უზბეკეთი).

ცუდად ითამაშა საქართველოს მეორე წარმომადგენელმა, ოსტატობის კანდიდატმა რ. ჯინჯიხაშვილმა (5 ქულა).

ჩვენმა გუნდმა V ადგილი დაიკავა. ყველას აჯობეს რსფსრ-ს ჭაბუკებმა.

### საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ა. წ. 18 სექტემბერს მოიწვიოს რესპუბლიკის სპორტკავშირის II პლენუმი.

დამტკიცდა დღის წესრიგი:

ა) სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილების — „პარტიის იდეოლოგიური მუშაობის მორიგი ამოცანები" — შესრულების პროცესში საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ (მომხსენებელი რ. მეტრეველი);

ბ) სპორტსაზოგადოებათა „კოლმეურნის", „განთიადისა" და „დინამოს" ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარეთა ინფორმაციები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისადმი მიძღვნილი დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

### სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„Б" კლასი

გათამაშების ცხრილი

II ჯგუფის II ქვეჯგუფი

მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკა (ოდესა) | 23 | 12 | 9 | 2 | 28—13=+15 | 33 |
| „შახტიორი" (ყარაგანდა) | 23 | 10 | 9 | 4 | 31—17=+14 | 29 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 24 | 9 | 10 | 5 | 24—20=+ 4 | 28 |
| „არარატი" (ერევანი) | 24 | 7 | 12 | 5 | 20—13=+ 7 | 26 |
| „კარპატი" (ლვოვი) | 23 | 10 | 5 | 8 | 31—26=+ 5 | 25 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 23 | 9 | 6 | 8 | 30—23=+ 7 | 24 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 24 | 9 | 6 | 9 | 21—26=— 5 | 24 |
| „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) | 23 | 5 | 12 | 6 | 15—13=+ 2 | 22 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 24 | 9 | 4 | 11 | 20—25=— 5 | 22 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 24 | 7 | 8 | 9 | 18—26=— 8 | 22 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 24 | 7 | 7 | 10 | 22—26=— 4 | 21 |
| „დინამო" (ტალინი) | 23 | 5 | 9 | 9 | 20—24=— 4 | 19 |
| „ალგა" (ფრუნზე) | 24 | 5 | 8 | 11 | 24—40=—16 | 18 |
| „სპარტაკი" (გომელი) | 24 | 3 | 11 | 10 | 8—20=—12 | 17 |

### „ტორპედო" — სკა 0:0

მოსკოვი, 18 აგვისტო. აქ გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი. გათამაშების ლიდერი — მოსკოვის „ტორპედო" შეხვდა როსტოვის არმიელთა გუნდს.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

## ასპარეზობენ თასზე

სსრ კავშირის საფეხბურთო თასის გათამაშება მეოთხედფინალის ფაზაში შევიდა. 29 აგვისტოს ლუჟნიკში ერთმანეთს ხვდებიან მოსკოვის გუნდები — „დინამო" და ცსკა. იმავე დღეს იაროსლავლში თამაშობენ „შინიკი" და კიევის „დინამო". 30 აგვისტოს, მოსკოვში, „დინამოს" სტადიონზე გაიმართება მატჩი ადგილობრივ „სპარტაკსა" და ვილნიუსის „ჟალგირისს" შორის. ეს შეხვედრები გამოავლენენ ნახევარფინალისტებს. მეოთხე ნახევარფინალისტი უკვე ცნობილია — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი".

კუიბიშეველები ნახევარფინალში ხვდებიან მოსკოვის „დინამოსა" და ცსკა-ს თამაშში გამარჯვებულს. მეორე ნახევარფინალურ წყვილს შეადგენენ „სპარტაკი" ან „ჟალგირისი",— ერთის მხრივ, კიევის „დინამო" ან „შინიკი", — მეორეს მხრივ.

## უკანასკნელი საათი...

◆ ალმა-ატა, 18 აგვისტო. სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეს შესანიშნავი საჩუქარი — მსოფლიო რეკორდი უძღვნეს ყაზახეთის პარაშუტისტებმა. 2.000 მეტრიდან ჯგუფურ ხტომაში (დღისით) ზუსტად დაშვებაზე დ. ვალიავინმა, ა. ბურაკოვმა, გ. შირიაევმა, პ. დმიტრიენკომ, ვ. რიაბოვოლოვმა, ბ. მოლდაბაევმა, ნ. ავრამენკომ და ვ. პუპკოვმა მიაღწიეს წრის ცენტრიდან საშუალოდ 1,96 მეტრზე გადახრას. 1962 წლის თებერვალში აშშ-ის პარაშუტისტთა მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი — 3,45 მ — მოხსნილია!

◆ კიშინიოვი, 18 აგვისტო. სსრ კავშირის წლევანდელი საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალზე გათამაშდა 10 ტური. ლიდერობას კვლავინდებურად ინარჩუნებს ოსტატი ა. ლუტიკოვი (ტირასპოლი) — 8 ქულა. მეორე ადგილზეა თბილისელი ოსტატობის კანდიდატი თ. კიკიანი — 7,5 ქულა.

◆ მინსკი, 18 აგვისტო (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის საჭადრაკო ჩემპიონატის მინსკის ნახევარფინალის XI ტურში გურგენიძემ დაამარცხა ნოსკოვი, ხოლო გაფრინდაშვილმა წააგო პარტია ბოიარინოვთან.

◆ კიევი, 18 აგვისტო. სსრ კავშირის უძლიერეს მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ვ. ბულიშოვმა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა 800 მეტრზე რბენაში. მისი შედეგი — 1.46,9 — ვ. სავინკოვის წინანდელ რეკორდზე უკეთესია 0,5 წამით.

სურათზე: ბედაურთა ამ უჩვეულო თავმოყრის მიზეზი სპორტია. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოვიდნენ ისინიც სპორტსმენთა დარად საქართველოს დედაქალაქში სოფლის ცხენოსანთა საკავშირო ასპარეზობაში მონაწილეობის მისაღებად. აი, მათი „პერსონალური" მონაცემებიც: მარცხნიდან — „ზახოდი" (ლატვია), „ბარვინოკი" (სომხეთი), სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონი ორჭიდში „პოსეიდონი" (საქართველო), „პრიმერი" (რსფსრ), „ბეგონია" (ტაჯიკეთი), „მრამორი" (უზბეკეთი), „ფინალი" (ბელორუსია), „ფროლოკი" (ლიტვა).

ფოტომონტაჟი ფ. კრიმსკისა.



# ორი ზარი

## ზარი პირველი

რედაქციაში გაისმა ტელეფონის ზარის წკრიალი. სპორტსაზოგადოება „განთიადის“ ცენტრალური საბჭოდან გვთხოვდნენ:

— უნდა შევამოწმოთ მაუდ-კამვოლის კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი. კარგი იქნება, თუ თქვენი თანამშრომელიც დაგვესწრება.

— ძალიან კარგი!

## საკითხის დასმა

შეკრება მოხდა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის პ. ალავიძის კაბინეტში. აქ, ალბათ, მსგავსივე თხოვნის საფუძველზე, იყვნენ კომკავშირის 1-ლი მაისის რაიკომის მეორე მდივანი ც. ჯანაშია და საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ინსტრუქტორი ლ. ანდღულაძე, აგრეთვე „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ინსტრუქტორი ა. კაპანაძე.

როგორც კაბინეტში მიმდინარე საუბრიდან გაირკვა, საკითხი ეხებოდა საწარმოში მასობრივ-გამაჯანსაღებელი, ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ჩაშლას და ამის მთავარ მიზეზს — ფიზკულტურის ინსტრუქტორის ბ. კოვალიოვის მოდუნებულ, უხალისო მუშაობას.

საკმაო ხანი მოუნდა იმის გარკვევას, თუ რით იყო გამოწვეული ეს მოდუნება, აგრეთვე იმას, შეიძლება თუ არა გაფუჭებული საქმისთვის კაცმა პასუხი აგოს მას შემდეგ, რაც იგი თვითონვე დაწერს განცხადებას გათავისუფლების თხოვნით.

## ოპონენტები, დამცველი და იურისტები

ამ კამათში ოპონენტების როლს ასრულებდნენ სტუმრები, თავისებური დამცველისას კი —მასპინძელი პ. ალავიძე. ის ამტკიცებდა (ამასთან, როგორც თვად ამბობდა, იურიდიულად), რომ ამ შემთხვევაში არ შეიძლება ბ. კოვალიოვის დასჯა, რადგან მან თვითონვე მოითხოვა წერილობით სამუშაოდან გათავისუფლება.

ოდნავ გავუსწრებთ მოვლენათა მსვლელობას და აქვე ვიტყვით: ჩვენ მცირეოდენი ნაცნობობა გვაქვს იურისტებთან. მათ ვთხოვეთ, რომ დავის ეს „პუნქტი“ გაერკვიათ. პასუხი მხოლოდ ერთი იყო — ასეთი წესი არ არსებობს. კაცმა თუ თავისი სამსახურებრივი მოვალეობა არ შეასრულა, არავითარი შინაარსის განცხადებას აღარ ძალუძს შეასრულოს ფარის როლი, რომელიც მას პასუხისმგებლობას აუსხლეტდა.

თუმცა, რა ვიცით; შესაძლოა იურისტები ცდებიან და პ. ალავიძეა მართალი.

მით უმეტეს, რომ ჩვენ სრულიადაც არ გამოვდივართ „სადამსჯელო ექსპედიციის“ მძვინვარე როლში. ჩვენ მხოლოდ საქმე გვაინტერესებს...

## „საქმე № 1“

მაშ ასე — საქმე!... რით დავიწყოთ?

— საწარმოო ტანვარჯიშით! — შემოგვთავაზეს მეთოდისტებმა ა. მახარაძემ და ლ. ფრანგიშვილმა, — — ჩვენთან სწორედ პირველ საათზე იწყება ფიზკულტპაუზა.

ეს მით უფრო საჭიროა, რომ მცირე ხნის წინ კომბინატში საწარმოო ტანვარჯიშის მდგომარეობა მწვავე კრიტიკის საგანი გახდა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში.

„ექსპედიციის“ წევრები სხვადასხვა საამქროსკენ მივეშურებით და ათიოდე წუთის შემდეგ საერთო დასკვნით ვიკრიბებით: კრიტიკას შედეგი გამოუღია. აქ ახლა ყველგან დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება. რაღა გვეთქმის? მხოლოდ ის, რომ აჯობებდა საქმე ადრევე საკუთარი გულის კარნახით მოგვარებულიყო, ვიდრე გარედან „დარტყმის“ შედეგად; და კიდევ ის, რომ მომავალშიც სასურველია ეს მონდომება გულის კარნახის შედეგი იყოს და არა ამ „დარტყმის“ ინერციისა... ინერცია ხომ, ბოლოს და ბოლოს, შეჩერებით მთავრდება ხოლმე?!

## „საქმე № 2“

ახლა კი ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობა...

— კოვალიოვი, ფიზკულტურის ინსტრუქტორი, აქ არ არის, — გვითხრეს ადრევე,—მას მეუღლე გახდომია ავად, დეპეშა გამოუგზავნია და თუმცა იგი არ მიგვიღია, მაგრამ შემდეგ „ტალონი“ წარმოადგინა.

— კი მაგრამ, საქმე მხოლოდ მასზე ხომ არ არის?! მის მაგივრად სხვა ვინმესაც ხომ შეუძლია...

—კოვალიოვი არავის ანდობს თავის ოთახს და გასაღებს. საქმეები კი იმ ოთახშია ჩაკეტილი.

ვინაიდან ჩვენ კარგად გვესმის, რომ, საბედნიეროდ, საქმეები ოთახში არ დაიმწყვდევა, რომ, უბრალოდ, უჯრაში ალბათ მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდებია ჩაკეტილი, ვამჯობინეთ რამდენიმე კაცს გავსაუბრებოდით ამ საქმეებზე...

**კომბინატის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ფხაკაძე** (თავმჯდომარე იქ არ აღმოჩნდა): „ჩვენთან მუშაობა თითქმის არც არის. მხოლოდ ფეხბურთის და მძლეოსნობის სექციები თუ მოქმედებს. ამის მიზეზი, ჩემის აზრით, ბაზების უქონლობაა. მეორე მიზეზი, და უფრო მთავარი, კი ის არის, რომ არ იგრძნობა არავითარი მონდომება“.

**კომკავშირის კომიტეტის მდივანი ნ. მოდებაძე:** „კოვალიოვს, როგორც ჩანს, მობეზრდა მუშაობა. თავის ადგილზე მას ძნელად ნახავთ. კომკავშირის კომიტეტმა რა ხანია განიზრახა კომბინატში ფიზკულტურული მუშაობის ჩაშლის საკითხის განხილვა, მაგრამ ორი კვირა მაინც იქნება ვერა და ვერ „დავიჭირეთ“ თვით ფიზკულტურის ინსტრუქტორი. და მაინც, კომკავშირელებმა საკუთარი ძალებით შევაკეთეთ კალათბურთის და ფრენბურთის მოედნები. ფეხბურთის მინდორიც გვაქვს, მაგრამ ამ უკანასკნელის გარდა არსებული ბაზებიც კი უქმად ცდება—არავითარი მუშაობა არ წარმოებს. „სავალდებულო“ ჯანმრთელობის სპარტაკიადაც კი გაგვიჭიანურდა, აქამდე მხოლოდ სროლასა და შაშში ჩატარდა შეჯიბრება“.

**კომბინატის დირექტორი ე. თავაძე:** „კოვალიოვი კარგი ბიჭია, შეუძლია ყველაფერი კარგად გააფორმოს, მაგრამ სიმართლეს ვერსად გავექცევით: ფიზკულტურული მუშაობა ჩვენთან მოდუნდა, თითქმის ჩაკვდა. მასობრიობა სულ არ იგრძნობა“.

**უბნის უფროსი ზ. ზარანდია:** „მე საკუთარი ხელით გავაკეთე ჩოგბურთის მაგიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალზე ხშირად ამ მაგიდაზე თამაში არ შემიძლია. ინსტრუქტორს მხოლოდ ქაღალდები კი არა აქვს ჩაკეტილი „თავის“ ოთახში, არამედ ჩოგნებიც და მათ ხელწერილითაც არავის ანდობს. გამოსავალი ერთი იყო: ჩოგბურთის სექციაში ჩაწერა და სისტემატური მეცადინეობა. მაგრამ ასეთი სექცია ფაქტიურად არ არსებობს, თუმცა მის ხელმძღვანელად თვით... კოვალიოვი ირიცხება და ამისთვის ფულსაც იღებს“.

დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვეს **კომბინატის თანამშრომლებმა—თ. ტყემალაძემ, ჯ. წიკლაურმა, ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელმა რ. მამაჯანოვმა...**

თუმცა იყო სხვაგვარი აზრიც.

**საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე პ. ალავიძე:** „მთლად ერთი კაცის ბრალი არ არის. მით უმეტეს, კოვალიოვს ძალიან ხშირად აგზავნიან მივლინებებში სხვა საქმეებზე, სანახევროდ აქ არ არის და თავისი საქმე გვერდზე რჩება.“.

## ორი კოვალიოვი და სხვანი ორნი

ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ თვითონ „ბრალდებულს“ ხომ უნდა მოვუსმინოთ?! ვინ იცის, ეგებ მან ამ „საქმეთა“ თუ უსაქმობის სულ სხვაგვარი, საკუთარი ინტერპრეტაცია წარმოადგინოს?!

კოვალიოვი კი აქ არ არის.

უცბათ, იდეა მოგვაწოდეს: კოვალიოვი აქ არ არის, მაგრამ აქ არის ორი წერილობითი დოკუმენტი, სადაც სხვებთან ერთად ისიც გამოთქვამს თავის თვალსაზრისს ამ საკითხებზე.

და აი, ჩვენს წინ დევს მაუდკამვოლის კომბინატის ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს საანგარიშო მოხსენება, რომლის შედგენაშიც ბ. კოვალიოვს მცირე წვლილი როდი მიუძღვის, და ამავე კოლექტივის წარმომადგენელთა მოხსენებითი ბარათი, რომელსაც ბ. კოვალიოვიც აწერს ხელს.

პირველი დოკუმენტი დათარიღებულია **1964 წლის 28 თებერვლით.** მასში ლაპარაკია, რომ განვლილი ორი წლის მანძილზე კოლექტივმა ცოტა წარმატება როდი მოიპოვა მასობრივ-ფიზკულტურულ მოძრაობაში, რომ მან ორჯერ ვადამდე შეასრულა გეგმები და ვალდებულებანი, რომ აქ ჩატარებული ღონისძიების მეოხებით კვალიფიციურ სპორტსმენთა დიდი რაზმი მომზადდა, რომ კარგად მუშაობს საზოგადოებრივ მსაჯთა კოლეგია, რომ 2.000-მდე მშრომელი ჩაბმულია საწარმოო ტანვარჯიშში და სხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში, აქვე, რა თქმა უნდა, ლაპარაკი უნდა ყოფილიყო და არის კიდეც ნაკლოვანებებზეც.

მეორე დოკუმენტი დათარიღებულია **1964 წლის 22 აპრილით.** მასში ლაპარაკია, რომ ფიზკულტურის კოლექტივში ჩავარდნის საფრთხის პირისპირაა მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა, ბაზების მდგომარეობა გამორიცხავს არა მარტო შეჯიბრებათა და წვრთნის, არამედ აქტივთან მუშაობისა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარებას, მოიშალა საწარმოო ტანვარჯიშის აბსოლუტურად ყველა ფორმა და ა. შ. და სხვა მრავალი.

ჭეშმარიტად, რა არ ხდება ბუნებაში!.. თანაც, მხოლოდ 2 თვის მანძილზე...

ბუნებაში ისიც ხდება, რომ მიუხედავად ამ შემზარავი სურათისა, რომელსაც 22 აპრილის დოკუმენტი გვაცნობს, და თანახმად იმ მშვენიერი სურათისა, რომელსაც 28 თებერვლის დოკუმენტი გვაცნობს, მიმდინარე წლის პირველ ნახევარშიც, ერთი ოფიციალური ქაღალდის მიხედვით, კოლექტივს გადაჭარბებით შეუსრულებია ფიზკულტურელთა და სპორტსაზოგადოების წევრთა ზრდის გეგმა,. პირნათლად გამოიყურება თანრიგოსანთა მომზადებაშიც, ხოლო 1963 წელს კომბინატში სპორტის 21 სახეობაც კი ყოფილა კულტივირებული და საწარმოო ტანვარჯიშში 2.910 კაცი ყოფილა ჩაბმული. ჩვენ ვერ მოვახერხეთ ყველა იმ მაჩვენებლის შემოწმება, რომელთა „დამტკიცება“ და გაფორმება ადგილობრივ [illegible] ქაღალდებ[illegible] უჯრაში [illegible]ლი. მაგრამ ერთ პუნქტში, რომელიც უკვე ქალაქის სპორტკავშირის კომპეტენციას ექვემდებარება, მაინც შევძელით მცირეოდენის დაზუსტება: იმ 5 პირველთანრიგოსნის კვალი, რომლებიც თურმე კომბინატში აღუზრდიათ მიმდინარე წელს, არსად არ ჩანს.

## ზარი მეორე

იყო გამოთქმა: ყველა გზა რომისკენ მიდის. სტუმრებისა და „საქმეთა“ გზები მოკლე ხანში ისევ ფაბკომის თავმჯდომარის პ. ალავიძის კაბინეტში შეიყარა პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც.

საუბარი ის-ის იყო განახლდა, რომ ტელეფონი აწკრიალდა.

ორწუთიანი დიალოგი. თავმჯდომარე ჩვენსკენ ბრუნდება:

—გიგა რეკავს,—ამბობს იგი ძლევამოსილ-მრავლისმეტყველად,—კიდევ კარგი თქვენ აქ ხართ და მაშინ რეკავს. ელენე მალხაზოვნას დაუბარებია, რომ ჩემს ჩამოსვლამდე ნურაფერს ნუ გააკეთებთო.

— ვის დაუბარებია?

— ელენე მალხაზოვნას!

შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ჩვენ უნდა ავკანკალდეთ.

—მერე რა თქვა „ელენე მალხაზოვნამ“?

—უჩემოდ კოვალიოვის მოხსნის საკითხი არ გადაწყვიტოთო!

ჩვენ, მგონი, არ ვკანკალებთ, მაგრამ, გაოცება კი ნამდვილად გვეხატება სახეებზე:

—მოხსნას ჩვენ ვინ გვეკითხება? ჩვენი მიზანი მხოლოდ საქმის შემოწმებაა. შემოწმება(` აღკვეთილო, ესეც ხომ ზრ ბრძანა „ელენე მალხაზოვნამ“?

— შემოწმება?.. შემოწმება ალბათ შეიძლება... მაგრამ, მე ვფიქრობ, თქვენი წამოსვლის შემდეგ ელენე მალხაზოვნას და ივან ივანიჩს ერთმანეთში მოულაპარაკებიათ...

ეს სიტყვები „განთიადის“ და პროფსაბჭოს ინსტრუქტორების მისამართით არის ნათქვამი.

მაშ ჩაიშალა შემოწმება?

მაგრამ ჩვენთვის, დანარჩენთათვის, ჩვენს „იჩებს“ ხომ ჯერ არაფერი უბრძანებიათ?!

უნდა ვიჩქაროთ, სანამ დროა, სანამ ახალ-ახალი მოლაპარაკებანი დაწყებულა.

**ზ. ვადაჭკორია**

**მინაწერი:** როგორც გამოირკვა, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ი. ბოჭორიძეს არავითარი „მითითება“ არ დაუშვია შემოწმების შეწყვეტაზე, თუმცა მეორე ზარი სწორედ „განთიადის“ ცენტრალური საბჭოდან გაისმა; აქ, უბრალოდ, შეურებილიყვნენ სართავ-სატრიკოტაჟო ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორი გ. დვალი და... მაუდ-კამვოლის კომბინატის ფიზკულტურის ინსტრუქტორი ბ. კოვალიოვი, რომელიც თურმე „აქ არ არის“ და რომლის ნახვაც სანატრელად გადაექცათ კომბინატში. „მეორე ზარიც“ სწორედ გ. დვალს ეკუთვნოდა...

ბ. კოვალიოვს კი, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ შეატყობინეს, აზრადაც არ მოსვლია სულ უბრალო, თუნდაც მხოლოდ მორალური მოვალეობა შეესრულებინა — ყოფილიყო იქ, სადაც მისი მუშაობის შემოწმება უნდა შემდგარიყო.

## შენდება და ვერ აშენდა

კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ ჯერ კიდევ 1958 წელს დაიწყო სტადიონის მშენებლობა, მაგრამ მის დამთავრებას არაფერი ეშველა. ყველაფერი ეს მეურნეობის ხელმძღვანელობის უსულგულო დამოკიდებულების შედეგია. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენი სოფლის საშუალო სკოლის მესვეურებმა სულ ახლახანს თავიანთი სტადიონი... გადახნეს. ამრიგად, კისისხეველი ჭაბუკები და გოგონები ახლა ველარსად ივარჯიშებენ, ველარ გამართავენ სახალისო შეჯიბრებებს.

ძალიან საწყენი ამბავია. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი მეურნეობის სპორტსმენებს შარშანდელ რაიონულ შეჯიბრებებში საკმაოდ კარგი მაჩვენებლები ჰქონდათ: ფეხბურთში II ადგილი, ფრენბურთში — III, ჭიდაობაში — III, ხოლო კალათბურთში — IV.

საკითხავია, როდის დაინტერესდება კისისხევის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა სათანადო სპორტული ბაზის შექმნით?

**შ. ზუროშვილი,**
**კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.**

სოფელი კისისხევი, თელავის რაიონი.



## ბათუმი

აქ სტუმრად იმყოფებოდა გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბორის პაიჭაძე.

[illegible] სახლის საკონცერტო დარბაზში ძვირფასმა სტუმარმა წაიკითხა ლექცია — „ფეხბურთის ისტორიიდან და საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი“.

ლექციის შემდეგ უჩვენეს დოკუმენტური მოკლემეტრაჟიანი ფილმები: „ბასკები თბილისში“, „თბილისის „დინამო“ თეირანში 1944 წელს“ და „თბილისის „დინამო“ რუმინეთში 1945 წელს“.

**ო. მურვანიძე**

დილაა. სულ ახლახან გადაიღო წვიმამ და ცის კაბადონზე მრავალფერად გადაჭიმულა ცისარტყელა. ბათუმში დგება ნათელი, მზიანი დღე.

„განთიადის“ საწყლოსნო სადგურის ბაზაზე ყოველთვის ხალხმრავლობაა. ეს — ბათუმელი მოსწავლეები არიან, ბიჭები და გოგონები, რომლებიც ცურვის სასწავლად მოდიან აქ. ქალაქის მთელი ცხოვრება დაკავშირებულია წყალთან და ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ბავშვები, რომლებმაც დიდი ხანი არაა, რაც ფეხი აიდგეს, უკვე ეტანებიან ცურვას. უამისოდ ბათუმში ცხოვრება შეუძლებელია.



აი, დღესაც მოვიდნენ აქ ახალბედები. მათს მეცადინეობას ხელმძღვანელობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული ლილი ბარამიძე. უკვე 5 წელია ლ. ბარამიძემ დაამთავრა ინსტიტუტი და ამ ხნის განმავლობაში მან 100-ზე მეტ ბავშვს ასწავლა ცურვა.

სურათებზე: ასე იწყებს ცურვის სწავლას ყველა, მომავალი ჩემპიონები და რეკორდსმენებიც კი (მარცხნივ); ლ. ბარამიძე თავის აღსაზრდელებთან ერთად (მარჯვნივ).

ფოტო და ტექსტი ფ. კრიმსკისა (ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მორიგი ტურის წინ

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ხანგრძლივი მგზავრობის ერთ-ერთი უძნელესი პუნქტია ლენინგრადი, სადაც დღეს ისინი თამაშობენ ადგილობრივ „ზენიტთან". ყველაფერი დამოკიდებულია დროსა და ადგილზე. სულ მცირე ხნის წინ „ზენიტი" წარმოუდგენელი გულუხვობით არიგებდა ქულებს მარჯვნივ და მარცხნივ, ნელნელა ეშვებოდა ძირს, სანამ არ მიაღწია სატურნირო ცხრილის „ფსკერს" — XVII ადგილს. და რახან აქ უკანდასახევი ადგილი აღარ იყო, გუნდმა თავისი ძალების განსაცვიფრებელი მობილიზაცია მოახდინა, საფუძვლიანად გარდაქმნა თამაში და შეუდგა მოგზაურობას პირუკუ მიმართულებით — ქვევიდან ზევით. მატჩი მატჩს მისდევდა, ლენინგრადელები მეთოდურად აგროვებდნენ ქულებს და სადღეისოდ მათი აქტივი 7-ს ნაცვლად უკვე 15-ს შეადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ „ზენიტი" უძლიერესთა რიგებში დარჩენის საიმედო პერსპექტივების წინაშეა.

ახლა, ამ არნახული აღმავლობის ეტაპზე, ლენინგრადელები თავიანთ მინდორზე ეთამაშებიან თბილისის „დინამოს". რა თქმა უნდა, „ზენიტი" საკუთარი მაყურებლის წინაშე შეეცდება გააკეთოს ყველაფერი, რათა თავის დიდ შენაძენს შემატოს კიდევ ახალი ნადავლი. ამიტომაა ეს მატჩი თბილისელთათვის ძნელი. თუმცა, უნდა ითქვას, ჩვენი გუნდი ახლა კარგ ფორმაშია და მის რიგებში კვლავ გამოჩნდა მრისხანე მარცხენა გარემარბი — მ. მესხი.

ასეთივე რთული ამოცანის წინაშე დგანან კიევის დინამოელები, რომლებსაც მატჩი აქვთ გორკში. 17 ქულა „ვოლგას". სადღეისოდ X ადგილს აძლევს, მაგრამ ხვალ? ადვილი შესაძლებელია ერთი ტურის შემდეგ მას წამოეწიოს საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი, რომელიც სულ თითო-ოროლა ქულითაა ჩამორჩენილი. სწორედ ამ ჯგუფის წარმომადგენელია „შინიკი". მას მატჩი აქვს „ა" კლასის „აბსოლუტურ" აუტსაიდერთან — „მოლდოვასთან" და ისიც კიშინიოვში!

შედარებით უფრო იოლია ცსკა-სი და „კაირატის" მატჩის პროგნოზი. არმიელები ახლა ძლიერად თამაშობენ, მატჩი მოსკოვშია და ყველაფერი ეს საფუძველს გვაძლევს მათ გარკვეული უპირატესობა მივანიჭოთ.

დაბოლოს, ხვალინდელი მატჩი. მოსკოვის „დინამო" საკუთარ მინდორზე ეთამაშება „შახტიორს". სსრ კავშირის ჩემპიონს პირველი წრის მეტად მოკრძალებულ „ბიუჯეტში" აქვს გამარჯვება „შახტიორთან" (2:1), ამიტომ 20 აგვისტოს შეხვედრა დონეცკელთათვის სარევანშოა.

## ახალი ამბები

● ლ ო ნ დ ო ნ ი. „უაიტ სიტის" სტადიონზე გაიმართა დიდი ბრიტანეთისა და პოლონეთის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა, რომელიც მოიგეს სტუმრებმა—166:163. შეჯიბრებისას ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი შედეგი. მაგალითად, პოლონელმა ვ. კომარმა ბირთვი ჰკრა 19,28 მ. 1.500 მეტრზე რბენა მოიგო ჯ. სიმსონმა (ინგლისი) — 3,39,1. დიდი ინტერესით ელოდნენ ინგლისელ დევისის გამოსვლას სიგრძეზე ხტომაში, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინ საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა — 823 სმ. ამჯერად დევისის მაჩვენებელი დაბალი იყო, — მხოლოდ 793 სმ.

კარგად გამოვიდნენ ქალები: ინგლისელმა ე. პეკერმა 400 მ რბენაში გაიმეორა ამ სეზონის საუკეთესო დრო — 53,4, ხოლო მისმა თანაგუნდელმა ფ. სლააპმა დაამყარა დიდი ბრიტანეთის ახალი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 175 სმ.

● **სტოკჰოლმი.** დევისის თასის გათამაშებაში წარმატებით მონაწილეობენ შვეციის ჩოგბურთელები, რომლებმაც უკანასკნელ შეხვედრაში დაამარცხეს ფილიპინელი სპორტსმენები. შვეციის გუნდს დარჩა მეტად პასუხსაგები მატჩი ავსტრალიასთან. ამ შეხვედრაში გამარჯვებული ითამაშებს საპატიო ჯილდოს მფლობელთან — აშშ-ის ნაკრებთან.

● **ვენესუელა.** ამ ქვეყნის ჩემპიონატზე ოლიმპიური გუნდის წევრმა არქიმედ ერერამ 100 მ გაირბინა 10,1, ხოლო 200 მ — 20,5 წამში. კიდევ უფრო სწრაფად გაირბინა 100 მ მეორე სპრინტერმა ზ. ესტევესმა — 10,0. ეს მაჩვენებელი ოფიციალური მსოფლიო რეკორდის გამეორებაა. როგორც ჩანს, ვენესუელა ტოკიოში ვაჟთა სპრინტში გამარჯვების სერიოზული პრეტენზიებით ჩავა.

# ბრაზილიური სისტემა და...

რედაქციაში რუსთავიდან დარეკეს. ტელეფონთან იყო ამ ქალაქის ფეხბურთის ერთ-ერთი გულშემატკივარი. თავისი ვინაობა არ გვითხრა, სამაგიეროდ სამართლიანი საყვედურებით აგვავსო.

— ძალიან ცოტას წერთ „ბ" კლასის გუნდების მატჩებზე, განსაკუთრებით, რუსთავის „მეტალურგზე", რომელიც წლევანდელი გათამაშების ერთ-ერთი ლიდერია.

პირველობის კალენდარს გადავხედეთ, 17 აგვისტო ავირჩიეთ და მაყურებლებით სავსე რუსთავის სტადიონზე მოვხვდით. აქ დანიშნული იყო მატჩი ადგილობრივ „მეტალურგსა" და სტავროპოლის „დინამოს" შორის. პირველ წრეში სტუმრებს თავიანთ ქალაქში გამართულ შეხვედრაში „მეტალურგის" ფეხბურთელებისთვის მაინცდამაინც გულუხვი მასპინძლობა არ გაუწევიათ, 2 ქულა „წაურთმევიათ" და ისე გამოუსტუმრებიათ.

ეს ფაქტი იმას მოასწავებდა, რომ რუსთავის საფეხბურთო მინდორზე საინტერესო ბრძოლა უნდა გაჩაღებულიყო, „მეტალურგი" რევანშის წყურვილით უნდა ამოქმედებულიყო.

ადგილობრივი მსაჯის (?!) მ. ნადიროვის სასტვენის ხმაზე გუნდები მატჩის დაწყებისთვის მოეწყვნენ. „მეტალურგი" — 4+2+4; „დინამო" — 4+2+4. ბრაზილიური სისტემით

## „ბ" კლასი

თამაშის ორივე გუნდის სურვილი მატჩის საინტერესო მსვლელობას გვპირდებოდა, მაგრამ მსაჯმა მისცა თუ არა თამაშის დაწყების ნიშანი, მოედანზე ბრაზილიურიდან აღარაფერი დარჩა. ერთმანეთში აირია „რუსთაული" და „სტავროპოლური" სისტემები. სპორტულ სამყაროში მათ შესახებ ჯერ კიდევ ცოტა იციან, ამიტომ ვერც ჩვენ მივხვდით, თუ რა გეგმით მოქმედებდნენ მეტოქენი.

„მეტალურგის" რამდენიმე ეპიზოდური შეტევისგან არაფერი გამოვიდა, სტუმრების კარი ხელუხლებელი დარჩა. მაყურებელმა ნახა ფეხბურთელების უგეგმო, ჯგუფური „მოგზაურობა" ერთი მხრიდან — მეორისკენ, იყო ბურთების უსისტემო, უმისამართო მოგერიება. აქ კი მაყურებელი მოხიბლა ორივე გუნდის მოთამაშეთა მაღალი სივრცეების დაპყრობის „ოსტატობამ". მეორე დღეს საჰაერო ფლოტის დღე იყო და თითქოს ამას აღნიშნავდნენ ფეხბურთელები: ვინ უფრო მაღლა, ზეცისკენ ტყორცნის ბურთს!

როცა მაყურებელს უშინაარსო თამაში მოწყინდა და ბევრი სტადიონის დატოვებასაც აპირებდა, ისინი ადგილზე „მიაჯაჭვა" მსაჯის „ოსტატობამ". ჩვენ კარგად არ ვიცით, მ. ნადიროვი სამსაჯო ხელოვნების რომელ საფეხურზე დგას. ამბობენ, რომ იგი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია და, ამასთან, რუსთავის მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე. მატჩის საკმაოდ ტიტულირებულმა დირიჟორმა იმდენი უვიცი შეცდომა დაუშვა, რომ ტრიბუნებზე გამუდმებული სიცილ-ხარხარი ისმოდა. უხეში თამაშისთვის ბევრჯერ ისჯებოდა არა დამნაშავე, არამედ დაზარალებული, არასწორად ინიშნებოდა კუთხური დარტყმები, და, როცა ბურთის ნაცვლად მეტოქეები ერთმანეთის ფეხებზე ნადირობდნენ, ნადიროვი ამას „ვერ ამჩნევდა".

დრო იწურებოდა. მინდორზე ხელ და ფეხჩართული ბრძოლა იყო გაჩაღებული. ბურთი შხუილით მიდიოდა აუტში, ტრიბუნებზე, მოედნის სხვა მოსაზღვრე „ობიექტებისკენ", კარში კი — არა.

როცა მატჩის დამთავრებამდე 10 წუთი დარჩა, მაშინ ნამდვილი სოდომგომორი დაიწყო. იყო კამათი მეტოქეთა შორის, მუქარა და დაშინება, გაწევ-გამოწევა, აკრძალული ილეთების საკმაო დოზით დემონსტრირება. შებინდების წინ მსაჯის საფინალო სასტვენის ხმამ ყველას აუწყა მატჩის დამთავრება შედეგით — 0:0. ზემოაღნიშნულის მიხედვით ეს ანგარიში უშედეგოდ არ უნდა ჩაითვალოს, რადგან „ბრძოლის ველზე" ბევრი დარჩა თავნატკენი, ფეხნატკენი, შეგინებული...

... კიდევ კარგი, რუსთავიდან ტელეფონით დაგვირეკეს, გვისაყვედურეს, რომ „მეტალურგის" თამაშზე პატარა ანგარიშს აქვეყნებთო. ეს რომ არა, „ლელოს" დღევანდელ ნომერში ზემოაღნიშნულ მატჩზე შეიძლება ასეთი ცნობა დაბეჭდილიყო: „საინტერესო ბრძოლის შემდეგ შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0".

რუსთაველი ფეხბურთის გულშემატკივრის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის.

**ზ. ჯაფარიძე**
(ჩვენი სპეც. კორ.).

რუსთავი.



# კვლავ მეორე ადგილზე

**დამთავრდა სოფლის ცხენოსანთა საკავშირო პირველობა**

დელისის იპოდრომზე გამართული შეჯიბრების ბოლო დღის შესანიშნავი აკორდი იყო დ. ხოფერიას გამარჯვება სამჭიდელთა ასპარეზობაში. მან სამჭიდის უკანასკნელ სახეობაში — დაბრკოლებათა გადალახვაშიც მაღალი ოსტატობა გამოავლინა და უჯარიმოდ გაინავარდა დისტანციაზე. ასეთ დიდ ტურნირში დადებითი ქულების ბალანსით (1,69) ასპარეზობის დამთავრება იშვიათი შემთხვევაა და მით უფრო საპატიოა ხოფერიას მედალი. მეორე ადგილზე დარჩა პ. დენისენკო (რსფსრ), ხოლო მესამეზე — მ. მოროზოვი (ყაზახეთი).

„სამონადირო პარკურის" დაბრკოლებათა გადალახვაში III ადგილზე გამოვიდა საქართველოს გუნდის წევრი ა. დოლჟენკო. აქ ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი მ. კიჩაპოვი (რსფსრ). მეორე ადგილზეა ლატვიელი ვ. ილგაში.

ასპარეზობის ბოლო სახეობა იყო ამორჩევით დაბრკოლებათა გადალახვა ჭაბუკთა შორის. ტრასაზე განლაგებული იყო სხვადასხვა სირთულის 12 დაბრკოლება, ამათგან სპორტსმენს აუცილებლად უნდა გადაელახა 9. ქულათა მაქსიმუმის — 120-ის მოგროვების შემთხვევაში, პირველობის ბედს წყვეტდა დრო. საქართველოს გუნდის წევრთაგან ა. კრაინენკომ და შ. გულორდავამ დაამთავრეს დისტანცია, მაგრამ აი, დ. მალანიამ ერთი დაბრკოლება გამოტოვა, რისთვისაც შეჯიბრებიდან მოიხსნა. ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებს ეს მარცხი ძვირად დაუჯდა — იგი პირველი ადგილიდან ერთბაშად მესამეზე გადავიდა. ამ სახეობაში უძლიერესი აღმოჩნდა ტაჯიკეთის გუნდი, რომლის წარმომადგენელმა ე. მუჰამედოვმა ყველას აჯობა პირად ჩათვლაში.

სოფლის სპორტსმენთა საკავშირო პირველობის გარდამავალ თასს დაეპატრონენ რსფსრ-ს მხედრები. მეორე ადგილზე, ისევე, როგორც გასულ წელს, დარჩნენ საქართველოს სპორტსმენები. მესამე ადგილზე არიან ლატვიელები.

**ა. ცეხანელი**

* * *

სურათზე: სსრ კავშირის სოფლის ჭაბუკ ცხენოსანთა ჩემპიონი ორჭიდში შ. გულორდავა.

ფოტო ფ. კრიმსკისა.



ორიოდე წლის წინ ლატვიის საჭადრაკო ფედერაციის წევრებმა იფიქრეს: რა იქნება, რომ გავაერთიანოთ რესპუბლიკის ყველა 26 საჭადრაკო კლუბი ერთ „კონცერნში?" ეს ხომ გაუადვილებს ლატვიის სპორტკავშირს საჭადრაკო კლუბების ხელმძღვანელობას!

სპორტკავშირმა იდეა მოიწონა და ლატვიელი მოჭადრაკეები შეუდგნენ მის ხორცშესხმას. უკვე რამდენიმე თვის შემდეგ ლატვიელი მეგობრები, როგორც ჩანს, იზეიმებენ ახალი საჭადრაკო ორგანიზაციის — „ლატვიის საჭადრაკო და საშაშო კლუბების გაერთიანების" დაარსებას. ეს გაერთიანება ცენტრალიზებული გზით უხელმძღვანელებს რესპუბლიკის ჭადრაკისა და შაშის ყველა კლუბს.

გაერთიანებას ხელმძღვანელობას გაუწევს გამგეობა, რომელიც ორი წლით აირჩევა, აგრეთვე დირექტორი, რომელსაც სპორტკავშირი დანიშნავს.

ლატვიის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორის ზ. სოლმანისის აზრით, ლატვიის მოჭადრაკეები კლუბების გაერთიანებით მხოლოდ მოიგებენ.

ძნელია იმის თქმა, მომწიფდა თუ არა დრო მსგავსი ღონისძიების გასახორციელებლად საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, ალბათ ღირს შეისწავლოს ჩვენი რესპუბლიკის საჭადრაკო ფედერაციამ ლატვიელი მეგობრების გამოცდილება.

ლატვიაში საჭადრაკო ცხოვრება კარგადაა მოწყობილი. იქ კიდევ ერთი ახალი რამ აქვთ. საიდუმლოება არ არის, რომ ფიზიკურ მომზადებას მოჭადრაკისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ლატვიის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბს, როცა ორი წლის წინათ რიგის მახლობლად კიშ-ტბის ნაპირებზე ააგო კარვის ქალაქი. იგი გადაიქცა ლატვიელი მოჭადრაკეების აქტიური დასვენების, ორგანიზმის გაკაჟებისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებებისა და შეჯიბრებების შესანიშნავ ბაზად.

## ვ. ახალი პერსპექტივები

უკვე მესამე ზაფხულია არსებობს კარვის ქალაქი. მისი კომენდანტი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. აკმენტიში აღფრთოვანებით მოგვითხრობს, თუ რა შინაარსიანად ატარებენ ზაფხულს მოჭადრაკეები ბუნების წიაღში.

საქართველოს მოჭადრაკეებმა სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე წარმატებას სწორედ იმიტომ მიაღწიეს, რომ შესანიშნავად მოემზადნენ ფიზიკურადაც. არ იქნება ურიგო, რომ თბილისის მახლობლად, ან რესპუბლიკის სხვა აგარაკზე ჩვენც მოვაწყოთ კარვის ქალაქიც. ეს არ მოითხოვს დიდ ხარჯებს, სამაგიეროდ განუზომელ სარგებლობას მოგვიტანს.

**ა. ბუსლაევი,**
**სპორტის ოსტატი.**

# ასპარეზოგენ წყალქვეშ

მიმდინარე სპორტულ სეზონში მეორედ გაიმარჯვეს წყალქვეშა სპორტის საბჭოთა ოსტატებმა. სულ ახლახანს მათ მოიგეს ასპარეზობა ავსტრიის, იტალიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის წარმომადგენელთა მონაწილეობით, შემდეგ კი I ადგილი დაიკავეს სოციალისტური ქვეყნების გუნდების შეჯიბრებაში.

სსრ კავშირის გუნდში გამოდიოდნენ: ა. გოდოვანი, ვ. ეფრემოვი, გ. ლისენკო, ი. ნაუმჩევი, ა. ტულკი, ვ. შუტოვი. ეფრემოვი გამარჯვებული გამოვიდა პირად ჩათვლაში. იგი პრიზიორი იყო ყველა ვარჯიშში — ორიენტირებაში, სლალომსა და სპეციალურ კომბინირებულში (12 მეტრის სიღრმეზე ყვინთვა და იქ აქვალანგის „ჩართვა", წინასწარდასახულ წერტილზე ხელსაწყოებით მოძრაობა, ტვირთის ძიება და გადატანა 500 მ ნიღბითა და ფარფლთათებით ცურვა). ამ უკანასკნელ სახეობაში გაიმარჯვა ლისენკომ.

# რასისტები ოლიმპიადაზე არ იქნებიან

ლოზანა, 18 აგვისტო (საკდესის კორ.). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე დაშვებული არ არის! ასეთია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც დღეს აქ გამოქვეყნდა შეუცვლელი დაწვრილებითი სახით.

საერთაშორისო სპორტული საზოგადოებრიობა ამ ცნობას, უდავოდ, კმაყოფილებით შეხვდება. ოლიმპიელებს არ სურთ თავიანთ რიგებში რასისტების ხილვა.

▲ ჰელსინკი. ტოკიოს ოლიმპიადაზე გამგზავრების ახალი კანდიდატი გახდა 31 წლის ფინელი ჭოკით მხტომელი ტ. ლაიტინენი, რომელმაც დაძლია 486 სმ სიმაღლე.

▲ კობე. იაპონიის სპრინტის „ვარსკვლავმა" ხ. იიძიმამ მოსახვევიანი 200 მ გაირბინა 21,2 წამში, რაც 0,2 წამით ჯობს ი. მუროსა და ტ. ხონდეს ეროვნულ რეკორდს.

▲ კარაკასი. ვენესუელისა და სამხრეთ ამერიკის ახალი რეკორდი 400 მ რბენაში დაამყარა ვიქტორ მალდონადომ—46,5.

▲ პარიზი. ცნობილმა ფრანგმა მოცურავემ ა. გოტვალესმა 100 მ თავისუფალი სტილით დაფარა 54,2 წამში, რაც ახალი ეროვნული რეკორდია. ეს შედეგი მესამეა ცურვის მთელი ისტორიის მანძილზე და მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩება შოტლანდიელი მაკგრეგორის ევროპულ მიღწევას.

▲ ლოზანა. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო ტურნირში მასპინძელთა გუნდმა (იოჰერლი, ბიერი, შტადელმანი, ბარანდუნი) 4×100 მ ამანათრბენში დაამყარა შვეიცარიის ახალი რეკორდი—40,5.

▲ სტოკჰოლმი. შვეციის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, ტოკიოს თამაშებზე გაიგზავნება 90 სპორტსმენი, აგრეთვე 4 ხელმძღვანელი და 13 ოფიციალური პირი.

▲ მონრეალი. კანადის მძლეოსანთა შესარჩევ ასპარეზობაში კვლავ კარგად გამოვიდა ახალგაზრდა დიანა გერეისი, რომელიც სიმაღლეზე გადახტა 172 სმ.

▲ რეგის-ბრეიტინჯენი (გდრ). შესანიშნავად გამოვიდა მძლეოსანთა აქ გამართულ ასპარეზობაში მარგიტა ხელმბოლდტი. მან ბირთვი ჰკრა 17,54 მეტრზე, რითაც 7 სმ გააუმჯობესა რენატა გარიშ-კულმბერგერის სრულიადგერმანული რეკორდი. სრულიადგერმანული მიღწევა გააუმჯობესა აგრეთვე ინგრიდ ლოტცმა ბადროს ტყორცნაში—57,13 მ.

▲ რომი. იტალიის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ონესტი დააჯილდოვეს „დიდი ჯვრის" ორდენით.

## ალმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით, სამხრეთით...

● ტორონტო. ცნობილი კანადელი პროფესიონალი ჰოკეისტი რ. შანდლერი მძიმე ტრავმის შემდეგ საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმების აზრით სპორტსმენი დაუბრუნდება ჰოკეის, მაგრამ... მცირე ხნით. რატომ? იმიტომ, რომ შანდლერი მარტო გასულ სპორტულ სეზონში 18-ჯერ მძიმედ დაშავდა.

● ტურინი. იტალიის ფეხბურთელთა პოპულარული კლუბის „იუვენტუსის" თავდასხმა ახალ სეზონში ასეთი იქნება: სტაკინი, დელ სოლი, კომბენი, სივორი და მენიკელი.

# ხარების რბოლა

ინდოეთის ბევრ შტატში, ინდონეზიაში და აზიის ზოგ სხვა ქვეყანაში ხარების რბოლა მეტად პოპულარული შეჯიბრებაა. მსუბუქ ეტლზე მდგარი მძღოლები შმაგი სისწრაფით მორბენალ ხარებს მიერეკებიან. ეტლი საათში საშუალოდ 45 კილომეტრ სისწრაფეს ავითარებს. ესეც თქვენ, ხარების სიზანტე!

ცხოველებს საგანგებოდ ამზადებენ შეჯიბრებისთვის. ეს იმდენად მძვინვარე და ძლიერი პირუტყვებია, რომ რბოლის დაწყებამდე ეტლს ძლივს ამაგრებს რამდენიმე კაცი. მეეტლისგან მცირე ძალა და გაწაფულობა როდია საჭირო, რომ რბოლას გაუძლვეს, გამარჯვებული კი დიდი პატივით სარგებლობს მოსახლეობაში და საგრძნობ ფულად ჯილდოსაც იღებს.



ხურათებზე: მარცხნივ თქვენ ხედავთ ხარების რბოლის ერთ-ერთ მომენტს; ქვევით — მორიგი ნახტომი კოშკიდან.



## უჩვეულო შეჯიბრებები

# პენტეკოსტის მხტომელები

ახალი გებრიდები, კუნძული პენტეკოსტი... ოკეანის სივრცეებში მიკარგული ამ პატარა კუნძულის მცხოვრებნი ძველთაგანვე ყოველწლიურად იკრიბებიან დღესასწაულზე, რომლის კულმინაციურ მომენტს წარმოადგენს კოშკიდან ხტომა.

წარმოიდგინეთ მხტომელი, რომელიც თავდაყირა მოქრის 30-მეტრიანი სიმაღლიდან. გაბედულის ფეხებზე მიბმულია ორი ლიანი, რომელთა ბოლოები საიმედოდაა დამაგრებული კოშკის თავზე. აი, მხტომელის თავი ლამის შეეხო მიწას და ამ დროს ლიანები, რომელთა სიგრძე უაღრესად ზუსტადაა გამოთვლილი, სიმივით იჭიმება, შემდეგ ზამბარასავით იკლაკნება, მხტომელიც მსუბუქად აირეკლება ზევით და... რბილად ეშვება მოხნულ მიწაზე.

გამარჯვებულად, ჩვეულებრივ, ითვლება ის, ვინც შეძლებს დაცემის მომენტში მსუბუქად შეეხოს მიწას ხელებით ან... შუბლით. ხოლო თუ რომელიმე მხტომელი შეშინდება და უარს იტყვის შეჯიბრებაში მონაწილეობაზე, მას დიდი ჯარიმის გადახდა ელის. სანამ მშიშარა საერთო შემოსავალში რამდენიმე ღორს არ გასცემს, მას ხალხში გამოჩენის უფლება არა აქვს.

კუნძულის ჭაბუკებისთვის ასეთი ხტომა თავისებურ გამოცდას წარმოადგენს „სიმწიფის ატესტატზე". მხოლოდ მას შეუძლია თავი ნამდვილ მამაკაცად ჩათვალოს, ვინც წარმატებით გაივლის გამოცდას.

კუნძულის მკვიდრი მოხუცები, რომლებიც კოშკსა და ლიანებს ამზადებენ შეჯიბრებისთვის, საოცარი ინტუიციით გამოირჩევიან. თვითონვე განსაჯეთ: საკმარისია მათ რამდენიმე სანტიმეტრით გრძელი ან მოკლე ლიანი დაამზადონ, რომ მხტომელი მიწას დაენარცხება, ან, არეკლილი, მთელის ძალით მიეხლება კოშკის საფუძველს. კუნძულზე კი ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ხტომა მარცხით დამთავრებულიყო.

ჟურნალი „ვოკრუგ სვეტა" № 8, 1964 წ.



## ბურგომისტრმა ბრძანა

ესპანეთის ერთ-ერთ ქალაქში საფეხბურთო სტადიონი განლაგებულია ზედ სასაფლაოს გვერდით. ვინაიდან თამაშის დროს ამტყდარი ხმაური და ყვირილი ხელს უშლიდა დასაფლავების ნორმალურ ცერემონიალს, ქალაქის სამღვდელოებამ თხოვნით მიმართა ბურგომისტრს — აეკრძალა ფეხბურთის თამაში დამარხვის დროს.

რამდენიმე დღის შემდეგ ბურგომისტრმა გამოსცა ბრძანება: აიკრძალოს ყოველგვარი დასაფლავება ფეხბურთის თამაშის დროს.

# მიშელ რუსოს საეჭვო დაბრუნება

ველოსპორტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ გამოჩენილი ფრანგი სპრინტერი მიშელ რუსო. მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე 20 წლის სპორტსმენმა ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა სპრინტში. მომდევნო წელს იგი გახდა მსოფლიოს ჩემპიონი პროფესიონალ ველოსიპედისტთა შორის. შემდეგ კი მიშელ რუსოს სახელი ჰორიზონტიდან გაქრა.

თავისი სპორტული ნიჭის გაფურჩქვნის პერიოდში რუსომ თავი მიანება ველოსპორტს და ხელი მიჰყო კომერციას. მაგრამ აი, ამ ცოტა ხნის წინ, მთელ მსოფლიოს მოედო სენსაციური ცნობა: რუსო დაუბრუნდა ტრეკს. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა დაიწყო გულმოდგინე წვრთნა და როგორც თვითონ აცხადებს, შეიძლება მსოფლიო ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა.

9 აგვისტოს რუსომ სტარტი აიღო პარიზის ერთ-ერთ ტრეკზე. საერთო ყურადღება მიიპყრო ჩემპიონის ველოსიპედმა: მისი წინა თვალი გაცილებით უფრო პატარა იყო უკანაზე. საჭე ჩვეულებრივზე შესამჩნევად განიერი ჰქონდა და ასევე არანორმალურად განიერი პედალები ედგა. ყველაფერი ეს შეუჩვეველი თვალისთვის სასაცილოდ გამოიყურებოდა, მაგრამ რუსოს კონსტრუქციას ერთი დადებითი თვისება აქვს. იგი ხელს უწყობს სპორტსმენის აეროდინამიკას, თუმცა...

ახალი კონსტრუქციის ველოსიპედმა ჯერჯერობით ვერ გაამართლა. რუსომ წააგო მატჩი საფრანგეთის ჩემპიონ რ. გენიართან.

# ძმები — სხვადასხვა ნაკრებში

ფეხბურთელი ჰარი ბეიკერი, ინგლისის ექს-ჩემპიონ „იპსვიჩ ტაუნის" ცენტრალური თავდამსხმელი, დაიბადა ნიუ-იორკში და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქედ ითვლება. ამის გამო აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციამ იგი მიიწვია თავის ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ ჰონდურასის გუნდის წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში.

ამ ამბავში უჩვეულო არაფერია, მაგრამ კურიოზულია ის, რომ მისი მკვიდრი ძმა — ჯო ბეიკერი, რომელიც ლონდონში დაიბადა და ინგლისის მოქალაქედ ითვლება, თამაშებს ინგლისში. ჯ. ბეიკერი დიდი წარმატებით გამოდის ლონდონის „არსენალში", ამიტომ იგი მწვრთნელმა ა. რამსეიმ ინგლისის ნაკრებში მიიწვია, სადაც ახალგაზრდა ფეხბურთელმა უკვე რამდენიმე მატჩი ჩაატარა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



უსიტყვოდ...

ნახატები ა. ერაძის და ბ. აბროიანისა.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე)—პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია—5-16, მემანქანეთა ბიურო—5-11, გამომშვები—3-81.



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 11302